

# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,  
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 422) 27 17 87  
ელ. ფოსტა: [info@bsu.edu.ge](mailto:info@bsu.edu.ge)

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01-08/40

ქ. ბათუმი

2012 წლის 29 აგვისტო,

**სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში“  
იმ აბიტურიენტთა რეგისტრაციის წესისა და ვადების განსაზღვრის შესახებ,  
რომლებმაც გაიარეს 2012 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, რსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, აკადემიური საჭოს 2012 წლის 7 ივნისის 98-ე დადგენილების, „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის 19/ნ ბრძანების საფუძველზე

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. 2012 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ ჩარიცხვის უფლების მქონე აბიტურიენტთა აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია განხორციელდეს მიმდინარე წლის 29 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე;

2. აბიტურიენტთა მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციის (სწავლის საფასურის გადახდა რსუ-ს მომსახურე საბანკო დაწესებულებაში) გავლის შემდეგ აკადემიური რეგისტრაცია განხორციელდეს რსუ-ს შესაბამის ფაკულტეტებზე:

ა) **განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტზე:** ქ.ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35;

- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებით - №221 ოთახში, ტელ. 276394;
- დაწყებითი განათლების, სპორტის, მათემატიკის, კომპიუტინგის, ფიზიკის სპეციალობებისათვის - № 228 ოთახში, ტელ. 276394;
- ეკოლოგიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, ქიმიის, მედიცინის, სტომატოლოგიის, ფარმაციის, საექთნო საქმის სპეციალობებისათვის №219 ოთახში, ტელ. 27 56 59;

ბ) **სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე:** ქ.ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35; ოთახი №524, ტელ: 27 64 58;

გ) ტურიზმის ფაკულტეტზე: ქ.ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35; ოთახი №123, ტელ: 27 06 56;

დ) აგრარული ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიის ფაკულტეტზე: მწვანე კონცხი, ოთახი №307, ტელ: 29 32 16;

ე) საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე: ქ.ბათუმი, ფიროსმანის ქ. №12, ოთახი №1. ტელ 27 49 23;

3. რეგისტრაციისათვის აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებისათვის);

გ) ზოგადი განათლების დამადასტურებელი მოწმობა (ატესტატი);

დ) ფოტოსურათი 3 ცალი (3x4), ასევე სურათის ელექტრონული ვერსია;

4. რსუ-ში აბიტურიენტთა ჩარიცხვის შესახებ ბრძანება გამოიცეს აბიტურიენტთა რეგისტრაციის შედეგების მიხედვით;

5. ბრძანება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს რსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, ასევე საჯარო გაცნობის მიზნით განთავსდეს რსუ-ს საინფორმაციო დაფებზე და რსუ-ს ვებ-გვერდზე;

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი

ალიოზა ბაკურიძე